# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
## №2

ქ. ქუთაისი 1 აგვისტო 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| ნოდარ მიქიაშვილი | – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე. |
| კონსტანტინე ქავთარაძე | – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. |
| ირაკლი ავალიანი | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| მალხაზ ბასილაძე | - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე №6 სახლის წინ (საკ/კოდი 03.01.22.166), რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.21.055) და ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.22.047) მდებარე სკვერების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების ფასი 1200 (ერთი ათას ორასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1311. 28.07.2014)

**განხილვა:** საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა: შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013“-მა.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია დარღვევით. კერძოდ: საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი და საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრებმა: ირაკლი ავალიანმა და მალხაზ ბასილაძემ.

დაადგინეს:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებით შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013"-ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას მიეცა დისკვალიფიკაცია.

2. ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე №6 სახლის წინ (საკ/კოდი 03.01.22.166), რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.21.055) და ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.22.047) მდებარე სკვერების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – „კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე